# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და საკითხების საჯარო განხილვის

## ოქმი N 35

3 სექტემბერი, 2024 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან [illegible].

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები.

თინათინ ხიდეშელი

ნინო გარდაფხაძე

მარიამ ზაქარიაშვილი

თამარ ჩაჩუაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები:

1. [illegible]
2. გიორგი ლორია;
3. [illegible]
4. ეთერი ვარდიძე
5. ლია არევაძე
6. მაია ასკაშვილი

7. პაატა ბაღათურია
8. ბადრი ქუთათელაძე
9. თეა ხანთაძე
10. გიორგი ქადაგიძე
11. ირინე აფხაზავა
12. ალეკო ხურცილავა
13. რევაზ კორინთელი
14. გიორგი იველაშვილი

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

## დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, თემურ ფიფიას ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავის ზაზა ლორიას სახელის მინიჭების შესახებ;
2. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, რომანოზ ხომლელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავის დიმიტრი ქაძის სახელის მინიჭების შესახებ;
3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი აბაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავის ლევან ჩოხელის სახელის მინიჭების შესახებ;
4. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სვიმეონ შოთაძის ქუჩის მონაკვეთისთვის, მშვიდობის ქუჩისთვის, ორი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავის ანდრო ქუჯოშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

5. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ვახტანგ მახალდიანის შესახვევისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ექიმის გიორგი ვენეცკის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;
6. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის II ქუჩისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ექიმის ქეთევან გულაღაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
7. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ალექსანდრე გობრონიძის ჩიხისთვის და ქობის ჩიხის ორი მონაკვეთისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მაშველის გიორგი მარგიანის სახელის მინიჭების შესახებ;
8. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზესტაფონის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მაშველის კახა ტორჩინავას სახელის მინიჭების შესახებ.
9. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ნუგზარ კალანდაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მოჭიდავის გიორგი ოდიშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
10. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, წყალსადენის ქუჩის მონაკვეთისთვის უფლებადამცველ ირაკლი ქემოკლიძის სახელის მინიჭების შესახებ;
11. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გორდის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასტროფის დროს დაღუპული მანანა თოლორდავას სახელის მინიჭების შესახებ;
12. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასტროფის დროს დაღუპული ვენერა გაბუნიას სახელის მინიჭების შესახებ;
13. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლებაში, ვაგზლის ქუჩისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ორი შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული ჟურნალისტის გულიკო გოდოლაძის სახელის მინიჭების შესახებ;
14. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, დოლაბაურის II ხევისთვის, დოლაბაურის III ხევისთვის, ერთი ჩიხისთვის და ერთი გასასვლელისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის თამაზ ნინოშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
15. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ნასახლარის ქუჩისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის  და ერთი შესახვევისთვის პოეტის ფრიდონ ხალვაშის სახელის მინიჭების შესახებ;
16. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიოში, ავთო ვარაზის ქუჩის I შესახვევისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ერთი შესახვევისთვის მსახიობის გიორგი გაჩელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

17. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის გიორგი გაგილაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ;
18. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ამაღლების ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო გასასვლელისთვის ამაღლების I და II გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ;
19. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ზურაბ ნამორაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ;
20. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ლადო კოტეტიშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ;
21. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ბოგდან ხმელნიცკის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;
22. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის დასახლებაში, ძველი ვეძისის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ძველი ვეძისის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;
23. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, კედარის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის კედარის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
24. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, თეიმურაზ I-ის ქუჩის გაგრძელების შესახებ;
25. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, მანანა ზედგინიძის ქუჩასთან არსებული ექვსი უსახელო შესახვევისთვის მანანა ზედგინიძის სახელის მინიჭების შესახებ;
26. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში, აფხაზეთის ქუჩის II ჩიხის გაგრძელების და აფხაზეთის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის აფხაზეთის IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;
27. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლებაში, დაბაკნეთის ქუჩის I ჩიხისთვის და მასთან მდებარე უსახელო გასასვლელისთვის დაბაკნეთის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ;
28. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ დიდებას მიმდებარე ტერიტორიაზე, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის სულხან-საბა ორბელიანის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;
29. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, ნუშის ბაღების ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ნუშის ბაღების I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ;
30. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ელისო ჭიპაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ელისო ჭიპაშვილის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი. დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი რვა საკითხი შეეხება გუდაურთან ავიაკატასტროფისას დაღუპული სამაშველო ვერტმფრენის ეკიპაჟის წევრების სახელების უკვდავყოფას.

1. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, თემურ ფიფიას ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავის ზაზა ლორიას სახელის მინიჭების შესახებ;
2. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, რომანოზ ხომლელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავის დიმიტრი ქაძის სახელის მინიჭების შესახებ;
3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი აბაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავის ლევან ჩოხელის სახელის მინიჭების შესახებ;
4. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სვიმეონ შოთაძის ქუჩის მონაკვეთისთვის, მშვიდობის ქუჩისთვის, ორი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავის ანდრო ქუჯოშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
5. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ვახტანგ მახალდიანის შესახვევისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ექიმის გიორგი ვეწეცკის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;
6. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის II ქუჩისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ექიმის ქეთევან გულადაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
7. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ალექსანდრე გობრონიძის ჩიხისთვის და ქიზიის ჩიხის ორი მონაკვეთისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მაშველის გიორგი მარგიანის სახელის მინიჭების შესახებ;
8. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზესტაფონის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მაშველის კახა ტოლჩინავას სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარის ლევან აბაშიძის ინფორმაციით 2022 წლის 8 აგვისტოს, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომაზე და 9 აგვისტოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ გამოითქვა მზაობა, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტებისთვის გუდაურთან სამაშველო ოპერაციის შესრულების დროს, ვერტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად გარდაცვლილი მფრინავების, მაშველებისა და ექიმების სახელების მინიჭებასთან დაკავშირებით.

საკითხის შესწავლისას შესაბამის სამსახურებთან კოორდინაციით დაზუსტდა ბორტზე მყოფი პიროვნებების ვინაობები, ბიოგრაფიული მონაცემები და მათი ოჯახის წევრების საკონტაქტო ინფორმაცია. საქმისწარმოების პროცესში შეხვედრები გაიმართა გარდაცვლილთა ოჯახის წევრებთან, სახელდებისთვის გეოგრაფიული ობიექტები შეირჩა გარდაცვლილთა საცხოვრებელი ტერიტორიების მიხედვით, რამდენიმე ლოკაციაზე შეხვედრები შედგა ქუჩაზე მაცხოვრებელ მოქალაქეებთან.

2022 წლის 29 ივლისს გუდაურთან ვერტმფრენის ბორტზე 35-წლიანი სტაჟის მქონე მფრინავი ზაზა ლორია იმყოფებოდა. ტრაგედიის შედეგად ლორია ბორტზე მყოფ კიდევ 7 ადამიანთან ერთად დაიღუპა. ვერტმფრენმა, რომლის დახმარებით ჩამოვარდნილი პარაპლანისტების სამაშველო ოპერაცია მიმდინარეობდა, მართვა დაკარგა. დაშავებულია პარაპლანის ინსტრუქტორი, მასთან ერთად მყოფი უცხოელი ტურისტი კი გარდაიცვალა.

ზაზა ლორიას არაერთ გახმაურებულ სამაშველო ოპერაციაში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა. მფრინავის რთულ და საინტერესო ცხოვრებაზე, რისკიან ოპერაციებზე, თავგადასავლებზე ის „იმედის" მაყურებელს რამდენიმე წლის წინ თავად უამბობდა. ზაზა ლორია ცნობილი იყო მდიდარი პროფესიული ბიოგრაფიით და მრავალი გადარჩენილი სიცოცხლით, მათ შორის, ჰუმანიტარული მისიით აფხაზეთში,

სამაშველო ოპერაციით მყინვარწვერზე, ხანძრის ლიკვიდაციის ოპერაციით ბორჯომში.

გუდაურთან სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი ჩამოვარდა. ვერტმფრენმა, რომლის დახმარებით ჩამოვარდნილი პარაპლანისტების სამაშველო ოპერაცია მიმდინარეობდა, მართვა დაკარგა. შსს-ს ინფორმაციით, ბორტზე 8 ადამიანი

იმყოფებოდა. ყველა მათგანი დაიღუპა. დაშავებულია პარაპლანის ინსტრუქტორი, მასთან ერთად მყოფი უცხოელი ტურისტი კი გარდაცვლილია

საქართველოს პრეზიდენტმა 29 ივლისს, გუდაურში სამაშველო ოპერაციისას დაღუპული ეკიპაჟის წევრები უმაღლესი სამოქალაქო პასუხისმგებლობისთვის, სამაგალითო თავგანწირული ქმედებებისთვის დააჯილდოვა მედლით „სამოქალაქო თავდადებისთვის“.

დაჯილდოვდნენ:

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პოლკოვნიკი, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე საფრენოსნო მომზადების დარგში, მფრინავი ზაზა ლორია.

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მაიორი, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს თვითმფრინავების სატრანსპორტო ესკადრილიის(სამსახური) მთავარი სპეციალისტი, ბორტ-ტექნიკოსი-ინსტრუქტორი დიმიტრი ქაძე.

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს შვეულმფრენების ესკადრილიის (სამსახური) განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი, ბორტ-ტექნიკოსი-ინსტრუქტორი ლევან ჩიხელი.

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს შვეულმფრენების ესკადრილიის (სამსახური) წამყვანი სპეციალისტი, ბორტ-მექანიკოსი-ოპერატორი ანდრო ქუჯოშვილი.

სამოქალაქო უსაფრთხოების უმცროსი ლეიტენანტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებული სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს სწრაფი რეაგირების სამმართველოს ინსპექტორი გიორგი მარგიანი.

სამოქალაქო უსაფრთხოების მაიორი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს სწრაფი რეაგირების სამმართველოს უფროსი ინსპექტორი კახა ტორჩინავა.

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის პირველი ფილიალის ექიმი გიორგი ვენეცკი.

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის პირველი ფილიალის უმცროსი ექიმი ქეთევან გულაღაშვილი

**აზრი გამოთქვა:** სხდომას ესწრებოდა ზაზა ლორიას შვილი გიორგი ლორია. მან მადლობა გადაუხადა კომისიას მამამისის თავგანწირვის და გმირობის დაფასებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხები.

მომხრე -ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** დიდუბის რაიონში, თემურ ფიფიას ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერს მიენიჭოს გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავის ზაზა ლორიას სახელი.

სამგორის რაიონში, რომანოზ ხომლელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭება გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავის დიმიტრი ქაძის სახელი.

სამგორის რაიონში, გიორგი აბაშვილის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭება გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავის ლევან ჩოხელის სახელი.

გლდანის რაიონში, სვიმეონ შოთაძის ქუჩის მონაკვეთს, მშვიდობის ქუჩას, ორ შესახვევს და ერთ ჩიხს მიენიჭება გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავის ანდრო ქუჯოშვილის სახელი.

ნაძალადევის რაიონში, ვახტანგ მახალდიანის შესახვევს მიენიჭება გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ექიმის გიორგი ვენეცკის ქუჩის სახელი.

ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის II ქუჩას მიენიჭება გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ექიმის ქეთევან გულაღაშვილის სახელი.

გლდანის რაიონში, ალექსანდრე გობრონიძის ჩიხს და ქობის ჩიხის ორ მონაკვეთს მიენიჭება გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის

შესრულების დროს დაღუპული მაშველის გიორგი მარგიანის სახელი.

ნაძალადევის რაიონში, ზესტაფონის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭება გუდაურთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მაშველის კახა ტორჩინავას სახელი.

9. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, წყალსადენის/ზღვარ კალანდაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მოწინავეის გიორგი ოდიშელიის სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან ჟორჟოლიანი კომისიის წევრებს აღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. კომისიამ განიხილა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის ზურაბ თრუონიკიძის წერილი, რომლითაც სამედიცინო უნივერსიტეტის სახელით ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თამარ დეკანოსიძის სახელი.

საქართველოში ფუნდამენტური ბიო-სამედიცინო მეცნიერებების და კლინიკური მედიცინის განვითარების რთულ გზაზე ადამიანებმა შექმნეს და ქმნიან ქართულ მედიცინას. მათ შორის გამორჩეულია ქართული მედიცინის და უმაღლესი სამედიცინო განათლების, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ღირსების ორდენის კავალერის, თბილისის საპატიო მოქალაქის (2002 წელი), პროფესორ თამარ დეკანოსიძის სახელი.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დედაქალაქში არსებობდეს თამარ დეკანოსიძის სახელობის ქუჩა. სახელდებისათვის შეირჩა უსახელო ქუჩა საბურთალოს რაიონში, კანტანგ ჭაბუკიანის ქუჩასთან. ქუჩასთან განვითარებულია ასევე ერთი შესახვევი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეცხრე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** გლდანის რაიონში, ნუგზარ კალანდაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მოჭიდავის გიორგი ოდიშვილის სახელი.

10. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, წყალსადენის ქუჩის მონაკვეთისთვის უფლებადამცველ ირაკლი ქემოკლიძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძემ დღის წესრიგით წარმოდგენილი მეათე საკითხი განიხილა. კომისიაში შემოსულია „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის" თავმჯდომარის გიორგი ძნელაძის წერილი, რომლითაც ითხოვს ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის უფლებადამცველ ირაკლი ქემოკლიძის სახელის მინიჭებას.

ასევე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან კომისიაში შემოსულია პრემიერ-მინისტრის მრჩევლის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ნიკო თათულაშვილის წერილი, რომლითაც შუამდგომლობას უწევს თბილისში არსებული ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის უფლებადამცველ ირაკლი ქემოკლიძის სახელის მინიჭებას.

2022 წლის 29 დეკემბერს კომისიაში შემოსულია თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნანა წულაძის წერილი, რომლითაც ითხოვს დედაქალაქის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს უფლებადამცველ ირაკლი ქემოკლიძის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი.

ირაკლი ქემოკლიძე იყო პირველი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, უფლებადამცველი, რომელმაც საქმე მოიგო საკონსტიტუციო სასამართლოში. მისი სარჩელის საფუძველზე განხორციელდა რეფორმა, რომლითაც მხარდაჭერის მიმღებ

პირებს დაუბრუნდათ სამოქალაქო უფლებები, მათ შორის არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

ირაკლი ქემოკლიძე შშმ პირთა უფლებების დაცვისა და გამორჩეული სამოქალაქო აქტივიზმისთვის, როგორც უფლებადამცველი და სამოქალაქო აქტივისტი, გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

კომისიამ სახელდების მიზნით შეარჩია წყალსადენის ქუჩის მონაკვეთი, რომელიც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ქუჩად და მიიღო გადაწყვეტილება, რომ გლდანის რაიონში, წყალსადენის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს უფლებადამცველ ირაკლი ქემოკლიძის ქუჩის სახელი, ქუჩის ხსენებულ მონაკვეთზე მდებარეობს ის ორგანიზაცია, რომლის საქმიანობაშიც აქტიურად იყო ჩართული ირაკლი ქემოკლიძე.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია დედაქალაქში არსებობდეს ირაკლი ქემოკლიძის სახელობის ქუჩა.

**აზრის გამოთქმა:** კომისიას ესწრებოდა ირაკლი ქემოკლიძის დედა ნაია ასაკაშვილი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას საკითხის განხილვაზე მიწვევისა და მხარდაჭერისთვის. მან ისაუბრა ირაკლის დამსახურებაზე, ის იყო პირველი შშმ პირი, რომელმაც საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომელიც შეეხებოდა შშმ პირთა სამოქალაქო უფლებებს. ამ სახელდებამ მას მისცა სტიმული ირაკლის კეთილი საქმეები გააგრძელოს. მისთვის არის ამაღელვებელი დღე ირაკლის ღვაწლის დაფასებისთვის.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე - ხუთი..

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, წყალსადენის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს უფლებადამცველ ირაკლი ქემოკლიძის სახელი.

11. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გორდის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასტროფის დროს დაღუპული მანანა თოლორდავას სახელის მინიჭების შესახებ;
12. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასტროფის დროს დაღუპული ვენერა გაბუნიას სახელის მინიჭების შესახებ;
13. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლებაში, ვაგზლის ქუჩისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ორი შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული ჟურნალისტის გულიკო გოდოლაძის სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე თომა ჩიტაიშვილის მიმართვის საფუძველზე ითხოვს გორდის ქუჩაზე მისამართების მოწესრიგებას.

კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ გორდის ქუჩასთან მდებარე გეოგრაფიული ობიექტი უსახელოა და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ქუჩას, რომელთანაც განვითარებულია ერთი ჩიხი.

კომისიაში ასევე შემოსულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის დავით ფაცაციას წერილი, რომელიც შუამდგომლობს მოქალაქე პაატა ზაღათურიას, რომელიც ითხოვს თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთში ტრაგიკულად დაღუპული ვენერა გაბუნიას სახელი.

მ/წლის 29 მარტს კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე გიორგი კორაშვილის მიმართვის საფუძველზე ითხოვს ვაგზლის ქუჩასა და მის მიმდებარედ მისამართების მოწესრიგებას. კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ ვაგზლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩა ქალაქგეგმარებით ყალიბდება ერთ დამოუკიდებელ ქუჩად, ქუჩასთან განვითარებულია ორი შესახვევი.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ქალაქის ურბანულ გარემოში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარების მიზნით მუდმივად ამუშავებს ინფორმაციას იმ ქალების შესახებ, რომლებსაც თავისი საქმიანობით მნიშვნელოვანი როლი აქვთ შესრულებული როგორც სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობით, ასევე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება- აღდგენის მიმართულებით.

ხსენებული საკითხების განხილვისას მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქუჩებისთვის სახელები შერჩეულიყო გენდერულ კონტექსტში, გარდა აღნიშნულისა ვინაიდან საკითხების განხილვის პერიოდი ემთხვევა აფხაზეთში საომარი მდგომარეობის როგორც დაწყებას, ასევე დასრულებას, სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია აფხაზეთში ომის მიმდინარეობისას გარდაცვლილი ქალების სახელების მინიჭება.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, ნაძალადევის რაიონში, გორდის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებული ერთი ჩიხს მიენიჭოს ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასტროფის დროს დაღუპული მანანა თოლორდავას სახელი.

ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასტროფის დროს დაღუპული ვენერა გაბუნიას სახელი.

კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლებაში, ვაგზლის ქუჩას, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას და ერთ შესახვევს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული ჟურნალისტის გულიკო გოდოლაძის სახელი.

გულიკო გოდოლაძე მუშაობდა კინოსტუდია „მატიანეში“, როდესაც აფხაზეთში ომი დაიწყო და გადამღებ ჯგუფთან ერთად აფხაზეთში გაემგზავრა, სადაც სხვა ჟურნალისტებთან ერთად ბრძოლის წინა ხაზზე იდგა და ყველაფერს ფირზე აღბეჭდავდა.

1993 წლის 14 მარტს გამანადგურებლებთან ერთად პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს, ბომბი აფეთქდა და ყველა იმსხვერპლა, მათ შორის იყო გულიკო გოდოლაძე.

სიკვდილის შემდეგ გულიკო გოდოლაძე დაჯილდოებული იქნა ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

**აზრი გამოთქვა:** სხდომას ესწრებოდა ვენერა გაბუნიას შვილი პაატა ბალათურია. მან ბაზუშერელების სახელით მადლობა გადაუხადა კომისიას საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის და აღნიშნა, რომ მომავალ თაობებს სჭირდება ეს სახელდებები, რათა დავიწყებას არ მიეცეს აფხაზეთი.

სხდომას ასევე ესწრებოდა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელი რევაზ კორინთელი. მან აღნიშნა რომ მომავალი თაობებისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი ეს ინფორმაცია და სახელდება. სამსახურის სახელით მადლობა გადაუხადა საკრებულოს აღნიშნული სახელდების განხორციელებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, გორდის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭა ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასტროფის დროს დაღუპული მანანა თოლორდავას სახელი.

ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასტროფის დროს დაღუპული ვენერა გაბუნიას სახელი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლებაში, ვაგზლის ქუჩას, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას და ორ შესახვევს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული ჟურნალისტის გულიკო გოდოლაძის სახელი.

**14. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, დოლაბაურის II ხევისთვის, დოლაბაურის III ხევისთვის, ერთი ჩიხისთვის და ერთი გასასვლელისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის თამაზ ნინოშვილის სახელის მინიჭების შესახებ;**

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქალაქე შორენა ნინოშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის თამაზ ნინოშვილის სახელის მინიჭებას.

თამაზ ნინოშვილი 17 წლის იყო, როცა მოხალისედ წავიდა სამშობლოს დასაცავად. 1993 წლის 2 ივლისს, რუსი დესანტის გადმოსხმის შედეგად, განადგურდა ტამიშთან მყოფი ბატალიონი. სამშვიდობოს გამოსული მებრძოლი, დაბრუნდა ბრძოლის ველზე მედდის გადასარჩენად და მისი სიცოცხლე ყუმბარის ნამსხვრევმა შეიწირა.

კომისიამ სახელდებისთვის ქუჩა შეარჩია ისნის რაიონში, სადაც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, დოლაბაურის II ხევი და დოლაბაურის III ხევი ჩამოყალიბდა ერთ

დამოუკიდებელ ქუჩად, რომელთანაც განვითარებულია ერთი ჩიხი და ერთი გასასვლელი. ოჯახთან კონსულტაციის გავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათ უნდოდათ პატარძეულის ქუჩისთვის სახელის გადარქმევა, რაზეც მოსახლეობაც არ იყო თანახმა. ოჯახმა უარი თქვა ალტერნატიულ შეთავაზებაზე, რის შესახებაც საკრებულოს მიმართა წერილობით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მხარი არ დაეჭირათ საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთოთხმეტე საკითხი.

მომხრე - არცერთი.

წინააღმდეგი - ხუთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საკითხი ჩავარდა.

15. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ნასახლარის ქუჩისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ერთი შესახვევისთვის პოეტის ფრიდონ ხალვაშის სახელის მინიჭების შესახებ;**

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია მოქალაქე თეა ხანთაძის განცხადება, რომლითაც ითხოვს, ოქროყანაში, უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

მ/წლის 16 ივლისს კომისიაში შემოსულია ააიპ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის, მაყვალა გონაშვილის წერილი, რომლითაც

ითხოვს თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს თანამედროვე ქართული პოეზიის წარმომადგენლის ფრიდონ ხალვაშის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხები და ზემოხსენებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით შეისწავლა ტერიტორია ადგილზე დათვალიერებისა და ქუჩაზე მაცხოვრებელ მოქალაქეებთან შეხვედრის შემდგომ აღმოჩნდა, რომ ოქროყანაში, განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში გაუნაშენიანებელ ტერიტორიაზე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, ასევე წარმოქმნილია გზა და ახალი ქსელი. ნასახლარის ქუჩა და მასთან არსებული უსახელო ქუჩა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ერთ დამოუკიდებელ ქუჩად, ხოლო ნასახლარის ქუჩის მონაკვეთი მის შესახვევად.

ფრიდონ ხალვაში ორმოცდაათამდე წიგნის ავტორია, რომელთა შორისაა „საყვედური", „ეს დღე", „დარდი", „ასი დღე დედის გულისა". სხვადასხვა დროს ფრიდონ ხალვაში იყო საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე და პარლამენტის წევრი. 1979 წლიდან იგი იყო შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

**აზრი გამოთქვა:** სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები. მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, პოეტი, თბილისის საპატიო მოქალაქე ბადრი ქუთათელაძე და მოქალაქე თეა ხანთაძე.

ბადრი ქუთათელაძემ მწერალთა კავშირის სახელით მადლობა გადაუხადა კომისიას სახელდებისთვის, რადგან ფრიდონ ხალვაში ნამდვილად იმსახურებს მისი სახელობის ქუჩა არსებობდეს დედაქალაქში. იგი იყო დიდი პოეტი და ღირსეული პიროვნება. ასევე გამოთქვა სურვილი დედაქალაქში ტოპონიმებს არ გადაერქვას სახელი, რადგან ეს არის ქალაქის ისტორია.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა მეთხუთმეტე საკითხს.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, ნასახლარის ქუჩას და მასთან არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭოს პოეტ ფრიდონ ხალვაშის ქუჩის სახელი, ხოლო ნასახლარის ქუჩის მონაკვეთს ფრიდონ ხალვაშის I შესახვევის სახელი.

**16. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩის I შესახვევისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ერთი შესახვევისთვის მსახიობის გიორგი გაბელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;**

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, გიორგი გაბელაშვილმა შექმნა სახასიათო როლები ქართულ კინოში. გადაღებულია ფილმებში „დაკარგული სამოთხე", „ფატიმა", „ყვავილი თოვლზე", „თოჯინები იცინიან", „მხიარული რომანი".

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი შალვა ოგბაიძის ინიციატივას. სახელდებისთვის შეირჩა გეოგრაფიული არეალი ვაკის რაიონში, კერძოდ, ავთო ვარაზის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია.

ვინაიდან ქუჩის სახელდების დეტალები დასაზუსტებელია, აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის გადადება.

მომხრე -ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გიორგი გაბელაშვილის ქუჩის სახელდების საკითხი გადაიდო.

17. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის გიორგი გაგილაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ:

მოისმინეს:

ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული მორიგი საკითხი გააცნო. კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე ლევან ნუკრაძის მიმართვის საფუძველზე მოთხოვნილია უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

კომისიის მიერ მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს გიორგი გაგილაძის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო შესახვევს.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევს მიენიჭოს გიორგი გაგილაძის I შესახვევის სახელი.

18. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ამაღლების ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო გასასვლელისთვის ამაღლების I და II გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ლევან ბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთაწმინდის რაიონის გამგებლის დავით კირკიტაძის წერილი, რომლითაც წავკისის მოსახლეობის მიმართვის საფუძველზე ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

საკითხის განხილვის დროს კომისიამ წერილში მოსახლეობის მიერ მითითებული (საკადასტრო ერთეულებით შეისწავლა ტერიტორია. აღინიშნა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ამაღლების ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო I და II გასასვლელს

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ამაღლების ქუჩასთან მდებარე ორ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს ამაღლების I და II გასასვლელის სახელი.

19. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ზურაბ ნამორაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტაბატაძის წერილი, რომლითაც მოქალაქე ლამზირა ნაჭყებიას მიმართვის საფუძველზე ითხოვს ელენე გოკიელის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებზე ნუმერაციის განხორციელებას.

საკითხის განხილვის და ტერიტორიის შესწავლის შემდგომ კომისიამ დაადგინა, რომ ტერიტორია, რომელზეც მოქალაქე ნუმერაციის მოწესრიგებას ითხოვს - უსახელოა. უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ზურაბ ნამორაძის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი

მომხრე - ერთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში გაგრძელდეს ზურაბ ნამორაძის ქუჩა.

20. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ლადო კოტეტიშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია მოქალაქე ომარ ბარდაველიძის განცხადება, რომლითაც მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს ვარკეთილში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ტერიტორიის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ლადო კოტეტიშვილის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა მელიქ ს კითხი.

მომხრე-ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** სამგორის რაიონში გაგრძელდეს ლადო კოტეტიშვილის ქუჩა.

**21. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ბოგდან ხმელნიცკის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**

**მოისმინეს:**

კომისიის თავმჯდომარის ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრის კახაბერ ლაბუჩიძის წერილი, რომლითაც შუამდგომლობს მოქალაქე შორენა ბიბილეიშვილს, რომელიც მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ბოგდან ხმელნიცკის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის ჩიხს.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამეერთე საკითხი.

მომხრე -ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** ისნის რაიონში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს ბოგდან ხმელნიცკის I ჩიხის სახელი.

**22. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის დასახლებაში, ძველი ვეძისის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ძველი ვეძისის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ლევან აბაშიძემ განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხი. კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე მარიამ ლილუაშვილის მიმართვის საფუძველზე ითხოვს ზემო ვეძისის ტერიტორიაზე მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

ზემოაღნიშნული საკადასტრო კოდის მიხედვით ტერიტორიის შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ძველი ვეძისის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო ჩიხს.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამეორე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის დასახლებაში, ძველი ვეძისის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს ძველი ვეძისის III ჩიხის სახელი.

**23. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, კედარის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის კედარის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს:

ლევან ანანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია მოქალაქე ბესიკ ხარიმშვილის განცხადება, რომლითაც მითითებული ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიის მიერ უსახელო ტერიტორიის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს კედარის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ჩიხ-უსახელო შესახვევს.

**აზრი გამოთქვა:** სხდომას ესწრებოდა დაინტერესებული პირი გიორგი ივულაშვილი. მან აღნიშნა, რომ რთულია, როცა მაცხოვრებლებს მისამართი არა აქვთ. მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული პრობლემის გადაჭრა. მოქალაქემ მადლობა გადაუხადა კომისიას რეაგირებისათვის.

ლევან ანანიძემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამესამე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, კედარის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს კედარის I შესახვევის სახელი.

24. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, თეიმურაზ I-ის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე ნუგზარ ქარდავას მიმართვის საფუძველზე ითხოვს დიდ დიღომში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და მოქალაქის მიერ წერილში მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს თეიმურაზ I-ის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამეოთხე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, გაგრძელდეს თეიმურაზ I-ის ქუჩა.

25. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, მანანა ზედგინიძის ქუჩასთან არსებული ექვსი უსახელო შესახვევისთვის მანანა ზედგინიძის სახელის მინიჭების შესახებ;

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბასიას #06-წერილი, რომლითაც მოქალაქე ქიშვარდი ბაქრაძის მიმართვის საფუძველზე ითხოვს სოფელ დიღომში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილ იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები. აღმოჩნდა, რომ უსახელო ტერიტორია მდებარეობს მანანა ზედგინიძის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ქუჩის შესახვევს. ქუჩასთან ასევე განვითარებულია რამდენიმე შესახვევი.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამეხუთე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, მანანა ზედგინიძის ქუჩასთან არსებულ ექვს უსახელო შესახვევს მიენიჭოს მანანა ზედგინიძის სახელი.

26. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში, აფხაზეთის ქუჩის II ჩიხის გაგრძელების და აფხაზეთის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის აფხაზეთის IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ;

**მოისმინეს:**

ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს გააცნო ოცდამეექვსე საკითხი. კომისიაში შემოსულია მოქალაქე ალეკო ხურცილავას განცხადება, რომლითაც ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას

მ/წლის 31 მაისს კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი. რომლითაც შპს ფაბრიკა ფონიჭალას წარმომადგენლის კონსტანტინე ბუაძის მიმართვის საფუძველზე ითხოვს სოფელ ფონიჭალაში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხები და მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით აფხაზეთის ქუჩის II ჩიხის გაგრძელება შესაძლებელია. ხოლო აფხაზეთის ქუჩასთან ასევე განვითარებულია უსახელო ჩიხი.

**აზრი გამოთქვა:** სხდომას ესწრებოდა დაინტერესებული პირი ალეკო ხურცილავა. მან მადლობა გადაუხადა კომისიას აღნიშნული სახელდებისთვის.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამეექვსე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში, აფხაზეთის ქუჩის II ჩიხის გაგრძელების და აფხაზეთის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისათვის აფხაზეთის IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.

27. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლებაში, დაბაკნეთის ქუჩის I ჩიხისთვის და მასთან მდებარე უსახელო გასასვლელისთვის დაბაკნეთის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო მაზიას წერილი, რომლითაც ითხოვს დაბაკნეთის ქუჩის I ჩიხის მიმდებარედ უსახელო ტერიტორიის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. დაბაკნეთის ქუჩის I ჩიხის ტერიტორია განაშენიანებულია და გეოგრაფიული ობიექტი წარმოადგენს არა ჩიხს, არამედ გასასვლელს.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამეშვიდე საკითხი.

მომხრე-ყველა.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლებაში, დაბაკნეთის ქუჩის I ჩიხს და მასთან მდებარე უსახელო გასასვლელს მიენიჭოს დაბაკნეთის I გასასვლელის სახელი.

28. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ დიდების მიმდებარე ტერიტორიაზე, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის სულხან-საბა ორბელიანის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ლევან აბაშიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო მიმდინარე საკითხი. მისი ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე გია არსენიშვილის მიმართვის საფუძველზე მოთხოვნილია ტერიტორიის სახელდება.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს სოფელ დიდების მიმდებარე ტერიტორიაზე, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის ჩიხს.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, სოფელ დიდების მიმდებარე ტერიტორიაზე, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს სულხან-საბა ორბელიანის I ჩიხის სახელი.

29. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, ნუშის ბაღების ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ნუშის ბაღების I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

კომისიაში შემოსულია მოქალაქე ირინე აფხაზავას #19/032412049-03 წერილი, სადაც მითითებული საკადასტრო კოდის 01.16.08.006.076 მიხედვით ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და წერილში მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით დაადგინა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ელისო ჭიპაშვილის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის შესახვევს.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამეათე საკითხი.

მომხრე -ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა არცერთი.

გადაწყვეტილება: ჩუღურეთის რაიონში, ელისო ჭიპაშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ელისო ჭიპაშვილის I შესახვევის სახელი

ლევან აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ლევან აბაშიძე

მოისმინეს:

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია მოქალაქე ნათია ჟორჟოლიანის განცხადება, რომლითაც ითხოვს წყნეთში, ნუშის ბაღების ქუჩის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის დამისამართებას მითითებული საკადასტრო კოდის მიხედვით.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ნუშის ბაღების ქუჩასთან და ქალაქთმგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის შესახვევს.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამეცხრე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავშეკავებული - არცერთი.

გადაწყვეტილება: ვაკის რაიონში, წყნეთში, ნუშის ბაღების ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ნუშის ბაღების I შესახვევის სახელი.

30. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ელისო ჭიჭაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ელისო ჭიჭაშვილის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

სააგენტოს“ სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე გია არსენიძის მიმართვის საფუძველზე მოთხოვნილია ტერიტორიის სახელდება).

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს სოფელ დიღებას მიმდებარე ტერიტორიაზე, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის ჩიხს.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამერვე საკითხი.

მომხრე -ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** ვაკის რაიონში, სოფელ დიღებას მიმდებარე ტერიტორიაზე, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს სულხან-საბა ორბელიანის I ჩიხის სახელი.

**29. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, ნუშის ბაღების ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ნუშის ბაღების I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

**მოისმინეს:**

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია მოქალაქე ნათია ურთმელიძის განცხადება, რომლითაც ითხოვს წყნეთში, ნუშის ბაღების ქუჩის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის დამისამართებას მითითებული საკადასტრო კოდის მიხედვით.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ნუშის ბაღების ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის შესახვევს.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამეცხრე საკითხი.

მომხრე -ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** ვაკის რაიონში, წყნეთში, ნუშის ბაღების ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ნუშის ბაღების I შესახვევის სახელი.

**30. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ელისო ჭიპაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ელისო ჭიპაშვილის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

**მოისმინეს:**

კომისიაში შემოსულია მოქალაქე ირინე აფხაზავას #19/032412049-03 წერილი, სადაც მითითებული საკადასტრო კოდის 01.16.08.006.076 მიხედვით ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და წერილში მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით დაადგინა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ელისო ჭიპაშვილის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის შესახვევს.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამეათე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვეტილება:** ჩუღურეთის რაიონში, ელისო ჭიპაშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ელისო ჭიპაშვილის I შესახვევის სახელი.

ლევან აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებების და სიმბოლიკების
კომისიის თავმჯდომარე
ლევან აბაშიძე